საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №547

თბილისი „08“ 06 2018 წ

2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის და „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 4 ივნისის N659366 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) 2018 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდის ჩატარების განრიგი შემდეგნაირად:

ა.ა) 2-3 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა;

ა.ბ) 5-6 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ზოგადი უნარები;

ა.გ) უცხოური ენა:

ა.გ.ა) 9-10 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;

ა.გ.ბ) 9 - ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;

ა.გ.გ) 10 - ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;

ა.გ.დ)10 - ივლისი (პირველი სესია) - გერმანული ენა;

ა.დ) 13 - ივლისი (მეორე სესია) - მათემატიკა;

ა.ე) 16 - ივლისი (პირველი და მეორე სესია) - გეოგრაფია;

ა.ვ) 17 - ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია;

ა.ზ) 19 - ივლისი (პირველი სესია) - ლიტერატურა;

ა.თ) 20 - ივლისი (მეორე სესია) - ბიოლოგია;

ა.ი) 23 - ივლისი (მეორე სესია) სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;

ა.კ) 24 - ივლისი (პირველი სესია) - სამოქალაქო განათლება;

ა.ლ) 25 - ივლისი (პირველი სესია) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;

ა.მ) 25 - ივლისი (პირველი სესია) - ქიმია;

ა.ნ) 26 - ივლისი (პირველი სესია) - ფიზიკა.

ბ) 2018 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგი შემდეგნაირად:

ბ.ა) 11 - ივლისი (მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი: A);

ბ.ბ) 12 - ივლისი (მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი: A);

ბ.გ) 18 - ივლისი (მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი - B);

ბ.დ) 19 - ივლისი (მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი: B);

ბ.ე) 24 ივლისი (მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი - C);

ბ.ვ) 25 - ივლისი (მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი - C).

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი